სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
80535226857724

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240255515

რეგისტრაციის თარიღი

01.03.2024 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამონმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის პირველ მარტს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ი.პეტრიწის ქ. #16, მომმართა იოსებ ლომიძემ (დაბ. 23.01.1984 წელს, პირადი # 57001011821, მისამართი: ხაშური დ. სურამი გვერდისუბანი დას.) მან განაცხადა, რომ არის შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/წ 405294319) დირექტორი და სურს სანოტარო აქტის – მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად ზემოთ აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, იოსებ ლომიძე, როგორც შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/წ 405294319) დირექტორი, შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", წინამდებარე მინდობილობით ლია მაბალდიანს (დაბ. 03.07.1969 წელს, პირადი # 01006012280), შემდგომში წოდებული როგორც "მინდობილ პირს", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის, როგორც შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/წ 405294319) დირექტორის წარმომადგენელი შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/წ 405294319) კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქალაქის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში/ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში. იგი უფლებამოსილია შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ ცნობები/ მონშობები, ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს მიმნდობი პირის ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/წ 405294319) კუთვნილ უძრავ ნივთზე, მათ შორის მოახდინოს: უძრავი ქონების კორექტირება, უძრავი ქონების ფართობის დაზუსტება, საზღვრების კორექტირება, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან (სხვა უძრავ ნივთთან), რეგისტრაციის შეწყვეტა, რეგისტრაცია.

ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება (მათ შორის ელექტრონულად), მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მონშობა და სხვა დოკუმენტი ან/და მისი დუბლიკატი, მოაწეროს ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება, ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

- შპს „მეგა ეკო ქონსტრაქშენ"-ის (რეგისტრირებული: 09/10/2018 წელს, ს/წ 405294319) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/